


## იურიდიული განცხადება

მსოფლიო ებრძვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის COVID-19-ს პანდემიას. სტომატოლოგიური პროცედურების თავისებური მახასიათებლების გამო, რაც გულისხმობს დიდი რაოდენობის წვეთების და აეროზოლების გამოყოფას, აღნიშნული საქმიანობა ინფექციის გავრცელების მაღალი რისკის ჯგუფში შედის.

თანმხლები ალგორითმები წარმოადგენს რჩევებს და არა დირექტივებს. ისინი (ალგორითმები) არ ცვლის კანონს, რეგულაციებს ან სხვა ოფიციალურ ნორმატიულ დოკუმენტებს. საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია ყველა სტომატოლოგს მოუწოდებს, რომ მკურნალობის გეგმა სწორედ ამ ალგორითმების, მიღებული განათლების, პრაქტიკული გამოცდილების და კონკრეტული პაციენტის სპეციფიკის გათვალისწინებით იქნას შერჩეული.

ალგორითმის მიზანია COVID-19 კრიზისის პირობებში სტომატოლოგს და სტომატოლოგიურ დაწესებულებას დაეხმაროს ზუსტად განსაზღვროს თუ რამდენად გადაუდებელია ან რა დონის რისკის შემცველია კონკრეტული პაციენტი და მანიპულაცია, სწორად შეაფასოს და შესაბამისი მკურნალობა უზრუნველყოს. ალგორითმი შემუშავებულია ამერიკის სტომატოლოგთა ასოციაციის (ADA) და მოდიფიცირებულია საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის ექსპერტთა საბჭოს მიერ, დაფუძნებულია მიმდინარე სამეცნიერო კვლევებზე და არ ითვალისწინებს ეკონომიკურ ან პოლიტიკურ შეხედულებებს. ალგორითმები კონსერვატულ, ზოგად მითითებებს წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა მდგომარეობის შემთხვევაში სხვადასხვაგვარი ეფექტურობით იმუშავებს. ეპიდემიოლოგიური სურათის და სამეცნიერო ინფორმაციის სწრაფი განახლების გათვალისწინებით, ალგორითმებიც შეიცვლება, ამიტომ თვალი ადევნეთ საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის ვებგვერდს: [www.gsa.ge](http://www.gsa.ge)


ალგორითმი არაა გამყარებული სახელმწიფო ნორმატიული დოკუმენტებით, მაგრამ მისი არსიდან გამომდინარე, რომელიც COVID-19 გავრცელების/ტრანსმისიის (როგორც პაციენტებზე, ასევე სამედიცინო პერსონალზე) მინიმალიზაციას ემსახურება, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დაბალი იურიდიული ზემოქმედების დოკუმენტი, რომლითაც სტომატოლოგიურმა დაწესებულებამ უნდა იხელმძღვანელოს.




**პროცედურის შეჯამება**

1. კლინიკის პერსონალი ყველა პაციენტს ნებისმიერ გეგმიურ ვიზიტამდე 1-2 სამუშაო დღით ადრე (ან უფრო ადრეც თუ შესაძლებელია) უნდა გაესაუბროს.
2. დაუკავშირდეს ყველა იმ პაციენტს, ვისი ვიზიტიც სასწრაფო არ არის და ექვემდებარება გადავადებას.

ამ ალგორითმის მიხედვით, სტომატოლოგიური პაციენტები COVID-19 ინფექციის ნიშნებზე/სიმპტომებზე უნდა შეფასდეს. პაციენტი აქტიური COVID-19 ვირუსით, არ უნდა გამოცხადდეს სტომატოლოგიურ დაწესებულებაში.



1. მაღალი ტემპერატურა, იმ შემთხვევაში, თუ რესპირატორული სიმპტომები არ აღინიშნება, ამ ალგორითმის მიხედვით, განიხილება როგორც სასწრაფო და გადაუდებელი სტომატოლოგიური მდგომარეობის ჩვენება (ოღონტოგენური ინფექცია), რომელიც სტომატოლოგიურ ჩარევას საჭიროებს.
2. პაციენტს სტომატოლოგთან ვიზიტის დროს, აუცილებელია მივცეთ პირბადე (იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს თან არ აქვს). ვინაიდან სტომატოლოგიური მანიპულაციის დროს პაციენტი პირბადეს იხსნის, მკურნალობის დასრულებისთანავე მიზანშეწონილია პაციენტმა პირბადე დაუყოვნებლის გაიკეთოს.
3. COVID-19 ინფექციით სავარაუდო შემთხვევის განმარტება მოწოდებულია ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის მიერ (იხ. [stopcov.ge](http://stopcov.ge)) სავარაუდო შემთხვევის მქონე პაციენტი საავადმყოფოში გადამისამართებას ექვემდებარება. ამ დროს გადაცემის რისკი მაღალია.



პაციენტის და სამედიცინო პერსონალის ინფიცირების რისკი	დაბალი რისკი	საშუალო რისკი	მაღალი რისკი
<b>კარანტინი სამედიცინო პერსონალისთვის</b>	14 დღიანი კარანტინი არ არის საჭირო	<ul style="list-style-type: none"> <li>შეაფასეთ კლინიკურად და ინფექციის გადაცემის პრევენციის ყველა ღონისძიება გამოიყენეთ.</li> <li>პაციენტს ურჩიეთ მკურნალობის შემდეგ COVID-19 ტესტირება გაიაროს. თუ პასუხი დადებითია, სამედიცინო პერსონალი 14 დღიან კარანტინს ექვემდებარება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ასიმპტომური პაციენტი შეიძლება ინფექციის მატარებელი იყოს, რეკომენდებულია 14 დღიანი კარანტინის გავლა.</li> <li>შეაფასეთ კლინიკურად და ინფექციის გადაცემის პრევენციის ყველა ღონისძიება გამოიყენეთ.</li> <li>პაციენტს ურჩიეთ მკურნალობის შემდეგ COVID-19 ტესტირება გაიაროს. თუ პასუხი დადებითია, სამედიცინო პერსონალი 14 დღიან კარანტინს ექვემდებარება.</li> </ul>

პაციენტის და სამედიცინო პერსონალის ინფიცირების რისკი მანიპულაციების შესაბამისად	დაბალი რისკი	საშუალო რისკი	საშუალო-მაღალი რისკი
<b>თერაპიული სტომატოლოგია</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ანესთეზია</li> <li>რესტავრაცია</li> <li>არხების პრეპარირება</li> <li>არხების დაბეჭენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პრეპარირება</li> <li>პოლირება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ულტრაბგერითი სკეილინგი</li> <li>ჰაერჭავჭავიანი პოლირება</li> </ul>
<b>ქირურგიული სტომატოლოგია</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ექსტრაქცია**</li> <li>განაკვეთის გაკეთება</li> <li>ნაკერის დადება</li> <li>ქსოვილების მოკვეთა</li> <li>კიურეტაჟი</li> <li>ქსოვილების აუგმენტაცია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>იმპლანტაცია*</li> <li>მინი-იმპლანტის ფიქსაცია*</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ექსტრაქცია**</li> </ul>
<b>ორთოპედიული სტომატოლოგია</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>კონსტრუქციის ფიქსაცია</li> <li>გატეხილი მოსახსნელი პროტეზის შეკეთება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პრეპარირება*</li> <li>ანაბეჭდის აღება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პრეპარირება**</li> </ul>
<b>ორთოდონტია</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>აქტივაცია, კორექცია</li> <li>რეტენინერის ფიქსაცია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ბრეკეტის ფიქსაცია**</li> <li>ანაბეჭდის აღება</li> <li>ბრეკეტის მოხსნა*</li> </ul>	
<b>რენტგენოგრაფია</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>ცეფალომეტრული გამოკვლევა</li> <li>კომპიუტერული ტომოგრაფია</li> <li>ორთოპანტომოგრაფია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>დენტალური რადიოვიზიოგრაფია***</li> </ul>	
<b>კარანტინი სამედიცინო პერსონალისთვის</b>	14 დღიანი კარანტინი არ არის საჭირო	<ul style="list-style-type: none"> <li>შეაფასეთ კლინიკურად და ინფექციის გადაცემის პრევენციის ყველა ღონისძიება გამოიყენეთ.</li> <li>პაციენტს ურჩიეთ მკურნალობის შემდეგ COVID-19 ტესტირება გაიაროს. თუ პასუხი დადებითია, სამედიცინო პერსონალი 14 დღიან კარანტინს ექვემდებარება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ასიმპტომური პაციენტი შეიძლება ინფექციის მატარებელი იყოს, რეკომენდებულია 14 დღიანი კარანტინის გავლა</li> <li>შეაფასეთ კლინიკურად და ინფექციის გადაცემის პრევენციის ყველა ღონისძიება გამოიყენეთ.</li> <li>პაციენტს ურჩიეთ მკურნალობის შემდეგ COVID-19 ტესტირება გაიაროს. თუ პასუხი დადებითია, სამედიცინო პერსონალი 14 დღიან კარანტინს ექვემდებარება.</li> </ul>
<b>სტატუსის განმარტება</b>	<p>* მანიპულაცია მეტწილად გეგმიურია და არ წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას</p> <p>** მანიპულაცია შეიძლება იყოს როგორც გადაუდებელი, ისე გეგმიური, როგორც საშუალო, ისე მაღალი რისკის შემცველი, განისაზღვრება პაციენტის კლინიკური მდგომარეობით და ჩასატარებელი მანიპულაციების მასშტაბით</p> <p>*** დენტალური რადიოვიზიოგრაფის გამოყენებისას ზედმიწევნით უნდა იქნას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის პრინციპები დაცული. გამოკვლევის დანიშვნამდე ექიმმა უნდა შეაფასოს რისკის და სარგებლის თანაფარდობა</p>		

## შენიშვნები

- სამივე ალგორითმი მიზნად ისახავს COVID-19 პანდემიის დროს პაციენტების პრიორიტეტულობის განსაზღვრას, სკრინინგს და რისკების შეფასებას.
- თუ კლინიკას არ აქვს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, მათ შორის ქირურგიული ნიღბები, დაუშვებელია ნებისმიერი სტომატოლოგიური მანიპულაციის ჩატარება, როგორც მწვავეც არ უნდა იყოს პაციენტი.
- ნიღბის ტიპი ჩასატარებელი პროცედურის მიხედვით უნდა შეირჩეს. აეროზოლის წარმომქმნელი პროცედურების შემთხვევაში პრიორიტეტი n95 ტიპის ნიღბებს ენიჭება.
- აეროზოლის წარმომქმნელი პროცედურა, რომელიც N95 რესპირატორის გარეშე ტარდება, COVID-19 გადაცემის საშუალო რისკს წარმოადგენს.

## დამატებითი ზომები

- მნიშვნელოვანია გამართული ვენტილაციის არსებობა და ჰაერის ოპტიმალური ტემპერატურა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 21 გრადუსს.
- რენტგენოგრაფიული გამოკვლევის ჩატარების საჭიროებისას რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას ექსტრაორალური რენტგენები (ორთოპანტომოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია).
- სტომატოლოგიური მომსახურება უნდა განხორციელდეს ერთ-სავარძლიან კაბინეტში, მჭიდროდ დახურული კარის პირობებში. დარბაზული სისტემის მქონე კლინიკებმა უნდა ამუშაონ ბორმანქანები ისე, რომ დანადგარებს შორის 4 მეტრიანი დისტანცია იქნეს უზრუნველყოფილი.

## რეკომენდაციების განმარტება

### სტომატოლოგიური მანიპულაციის დაწყებამდე

#### სტომატოლოგის და სტომატოლოგიური გუნდის მომზადება

1. სამედიცინო პერსონალი რესპირაციული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომებით (მაღალი ტემპერატურა, ხველა ან ყელის ტკივილი, კუნთების ტკივილი), სამსახურში არ უნდა გამოცხადდეს.
2. COVID-19 ინფექციის გადაცემის მაღალი რისკის ჯგუფს განსაზღვრავს სამედიცინო პერსონალის ასაკი, ზოგადი ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი სტატუსი, იმუნოდეფიციტური მდგომარეობა, ორსულობა, და სხვ.
3. ყველა სამედიცინო პერსონალი ვალდებულია რესპირაციული სიმპტომების თვითკონტროლი აწარმოოს (მაგ.: ხველა, ზედაპირული სუნთქვა, ყელის ტკივილი), ასევე, შეამონმოს სხეულის ტემპერატურა დღეში 2-ჯერ განურჩევლად იმისა, აწუხებს თუ არა COVID-19-სთვის დამახასიათებელი სიმპტომები. სტომატოლოგიურმა დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც სამედიცინო პერსონალის ინფიცირების შემთხვევაში იმოქმედებს.
4. აწარმოეთ არსებული პერსონალური დაცვის საშუალებების ინვენტარიზაცია (მაგ.: სამედიცინო ხალათები, ხელთათმანები, სახის დამცავი ფარი და სხვ.).
5. პაციენტების მისაღებ სივრცეში არ უნდა იყოს ისეთი ნივთები, რასაც ბევრი ადამიანის ხელი შეიძლება შეეხოს და რომელთა დეზინფექციაც სირთულეებთან არის დაკავშირებული (მაგ.: ჟურნალ-გაზეთები, საკითხავი მასალა, სათამაშოები).
6. პაციენტის ინფორმირების მიზნით, კლინიკაში განათავსეთ ვიზუალური მინიშნებები და საინფორმაციო პოსტერები საზოგადოებაში სოციალურ დისტანციასა და რესპირაციული ჰიგიენის/ხველის წესების დაცვის შესახებ.
7. ვიზიტები ისე დაგეგმეთ, რომ მოსაცდელ სივრცეში პაციენტების მინიმალური რაოდენობა იყოს (თვალი ადევნეთ სახელმწიფო დადგენილებებს).
8. გააფრთხილეთ პაციენტი, რომ ვიზიტზე თანმხლები პირის გარეშე გამოცხადდეს. გამონაკლისს წარმოადგენენ ბავშვები, შშმ პირები, ასაკოვანი პაციენტები და სხვ. აღნიშნულ სიტუაციაში, კლინიკაში COVID-19 სიმპტომებზე სკრინინგი თანმხლები პირისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეჭვის მიტანის დროს, თანმხლები პირის დაშვება კლინიკაში არ შეიძლება. თანმხლები პირი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნება, სტომატოლოგიურ დაწესებულებაში არ დაიშვება.
9. სტომატოლოგიურ კლინიკაში შემოსვლისთანავე პაციენტმა უნდა ჩაიტაროს ხელების ჰიგიენა, გაიკეთოს სამედიცინო ნიღაბი და დაიცვას სოციალური დისტანცია, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს მისი კონტაქტი სხვა პაციენტებთან და დაწესებულების სხვა (უშუალოდ მის მომსახურე პერსონალის გარდა) პერსონალთან.
10. დაწესებულებაში (სამკურნალო კაბინეტში, საპირფარეოებში) ხელმისაწვდომი უნდა იყოს ერთჯერადი ხელსახოცები.
11. დაწესებულებაში მყოფი ყველა პირი ატარებს ქირურგიულ ნიღაბს, მათ შორის, სამედიცინო კაბინეტის გარე სივრცეებშიც (მოსაცდელი, რეგისტრატურა და ა.შ.), სამედიცინო პერსონალმა ნიღაბი უნდა შეიცვალოს თითოეულ პაციენტის მომსახურების დასრულებისთანავე.

#### ინდივიდუალური დაცვის საშუალებები



სტომატოლოგი აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის შემდეგი საშუალებებით:

- სამედიცინო ნიღაბი ან ერთჯერადი რესპირატორი N95 ან უფრო მაღალი დონის რესპირატორი
- ერთჯერადი სამედიცინო ხელთათმანი (არასტერილური)
- ერთჯერადი სითხეგაუმტარი სამედიცინო ხალათი
- თვალეების დამცავი საშუალებები (დამცავი სათვალე, სახის ფარი)
- ბახილები
- ჩაჩი (სამედიცინო ქუდი)

# COVID-19 ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ჯანდაცვის პერსონალისთვის

**სასურველი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები**      **N95 ან უფრო მაღალი დონის რესპირატორი**

**დასაშვები ალტერნატიული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები**      **სამედიცინო ნიღაბი**



CS 315838-C 03/23/2020

[cdc.gov/COVID19](https://www.cdc.gov/COVID19)

რესპირატორი N95-ის გამოყენება აუცილებელია აეროზოლების რისკის წარმოქმნასთან დაკავშირებული მანიპულაციების წარმოებისას. ამ შემთხვევაში რესპირატორი მჭიდროდ უნდა იყოს მორგებული სახეზე ისე, რომ სრულად ფარავდეს პირის ღრუსა და ცხვირის ნესტოებს. დაუშვებელია რესპირატორის ხელმეორედ გამოყენება. რესპირატორის ტარებისას და მოხსნისას არ უნდა შეეხოთ მის გარე ზედაპირს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა გამოირიცხოს ყველა იმ პანიპულაციის ჩატარება, სადაც არსებობს აეროზოლის წარმოქმნის ალბათობა.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების დროს იხელმძღვანელებთ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებით: [https://www.youtube.com/watch?time\\_continue=36&v=aiKH\\_TgxMMo&feature=emb\\_title](https://www.youtube.com/watch?time_continue=36&v=aiKH_TgxMMo&feature=emb_title)

გამოყენებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა განთავსდეს ინფიცირებული ნარჩენების დახურულ კონტეინერში.

## COVID-19-ის სკრინინგი და სტომატოლოგიური მანიპულაციების დახარისხება

1. გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა იმისთვის, რომ ვიზიტამდე პაციენტს ინფორმაცია დისტანციურად, სატელეფონო ზარის, მოკლევადიანი შეტყობინების ან ვიდეო ზარის საშუალებით გამოკითხოთ.
2. პაციენტისთვის სტომატოლოგიური მანიპულაციების ჩატარება იმ შემთხვევაშია დაშვებული, თუ მას COVID-19-სთვის დამახასიათებელი სიმპტომები (მაღალი ტემპერატურა, ყელის ტკივილი, სუნთქვის გაძნელება, ხველა) არ აღენიშნება (მსუბუქი ფორმითაც კი). სტომატოლოგიური პროცედურა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და შესაბამისი პროტოკოლის დაცვით უნდა განხორციელდეს (ალგორითმი 2 და 3).
3. იმ შემთხვევაში, თუ მწვავე/გადაუდებელი პაციენტის მაღალი ტემპერატურა ოდონტოგენურ ინფექციას უკავშირდება (მაგ.: პულპის და პერიაპიკალური ტკივილი, რომელსაც თან ახლავს შეშუპება), მაგრამ COVID-19-სთვის დამახასიათებელი სიმპტომები (მაღალი ტემპერატურა, ყელის ტკივილი, გაძნელებული სუნთქვა, ხველა) არ აღენიშნება, შესაძლებელია სტომატოლოგიური პროცედურა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და შესაბამისი პროტოკოლის დაცვით განხორციელდეს (ალგორითმი 2 და 3).
4. თუ მწვავე/გადაუდებელ პაციენტს რესპირაციული დაავადებისთვის დამახასიათებელი ნიშნები აღენიშნება, მისი გადამისამართება აუცილებელია საავადმყოფოში, სადაც პროცედურას ინფექციის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების ყველა წესის დაცვით ჩატარებენ (ალგორითმი 2).

## პაციენტის მოსვლისთანავე

1. თუ მოსაცდელი ოთახი სათანადო „სოციალური დისტანცია“ (2 მეტრის დისტანცია) შესაძლებლობას ვერ უზრუნველყოფს, პაციენტს შეუძლია ექიმს გარეთ/ტრანსპორტში დაელოდოს. მნიშვნელოვანია, რომ ამასთან დაკავშირებით პაციენტს ვიზიტის დაგეგმვის დროს მიენიშნოს ინფორმაცია (იხილეთ სექცია „სტომატოლოგის და სტომატოლოგიური გუნდის მომზადება“).
2. მიუხედავად ჩვენი რეკომენდაციებისა, რომლის თანახმადაც სტომატოლოგიური სერვისი მხოლოდ ასიმპტომურმა (პაციენტები, რომლებსაც სიმპტომები არ აქვთ), COVID-19-ზე უარყოფითმა ან გამოჯანმრთელებულმა (სიმპტომების არ არსებობიდან 3 დღეა გასული) პაციენტებმა შეიძლება მიიღოს, მნიშვნელოვანია სამედიცინო პერსონალის მიერ ინფექციის კონტროლისთვის საჭირო ყველა საშუალების (მაგ.: ალკოჰოლის შემცველი ხელის სადებიზინფექციო საშუალება, ერთჯერადი ხელსახოცები, პაციენტის მოსაცდელ სივრცეში ან მიმდებარე ხელის დასამუშავებელი უკონტაქტო სადებიზინფექციო დისპენსერი) მონიტორინგი.

## სტომატოლოგიური მანიპულაციების მსვლელობისას

### სტანდარტები და ინფექციის გადაცემის პრევენციული ღონისძიებები

1. სამედიცინო პერსონალი ვალდებულია დაიცვას ყველა ის სტანდარტული უსაფრთხოების ზომა, რომელიც პაციენტის ინფიცირების სტატუსის მიუხედავად, ინფექციის პრევენციასა და კონტროლს უზრუნველყოფს.
2. მიზანშეწონილია განოვადი ქირურგიული ძაფების გამოყენება, რათა თავიდან ავიცილოთ ნაკერის მოხსნისთვის პაციენტის შემდგომი ვიზიტი.
3. იმუშავეთ ოთხ ხელში მუშაობის პრინციპით, გამოიყენეთ ძლიერი გამწოვი სისტემა (ნერწყვგამწოვი და მტვერსასრუტი კომბინაციაში) და ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით იმუშავეთ საიზოლაციო სისტემით (რაბერდამი).
4. მანიპულაციის დაწყებამდე პაციენტმა პირის ღრუში უნდა გამოივლოს წყალბადის ზეჟანგის 1,5%-იანი სავლები.

### მნიშვნელოვანია:

- მაღალი რისკის შემცველი პროცედურები პროცედურები დღის ბოლოს უნდა დაიგეგმოს. დაუშვებელია მსგავსი პროცედურა N95 რესპირატორის გარეშე განხორციელდეს.

## სტომატოლოგიური მომსახურების შემდეგ

### პაციენტიდან პაციენტამდე

1. ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომლებიც დამუშავებას ექვემდებარება (ექიმის და პაციენტის დამცავი სათვალეები, ფარი), პაციენტებს შორის ჯერ თხევადი საპნით და წყლით, შემდეგ კი სადებიზინფექციო ხსნარით დაამუშავეთ.
2. სტომატოლოგიურ კაბინეტში არსებული ყველა ხელსაწყო, მომწოდებლის ინსტრუქციის მკაცრი დაცვით უნდა დამუშავდეს. თავდაპირველად ბუნიკები უნდა გასუფთავდეს, შემდეგ კი ავტოკლავირება ჩატარდეს (ყოველი პაციენტის მომსახურების შემდგომ).
3. ყველა სამედიცინო დანებსებულებაში მიზანშეწონილია დასუფთავების და დებიზინფექციის პროტოკოლის დაცვა (მიუხედავად იმისა პროცედურა აეროზოლის წარმოქმნას გულისხმობს თუ არა). ისეთი ზედაპირები, როგორც არის სახელურები, სკამები, მაგიდები, სველი წერტილები და ლიფტი, სადებიზინფექციო ხსნარით ხშირად უნდა დამუშავდეს.



## პოსტ-ოპერაციული ინსტრუქციები პაციენტისთვის

1. COVID-19 დადებით პაციენტებში იზუპროფენის ჯგუფის ტკივილგამაყუჩებლის გამოყენება ისევე შესაძლებელია, როგორც ნებისმიერ სხვა შემთხვევაში.
2. ისეთი პაციენტის მკურნალობისას, რომელსაც ტკივილი და ინტრაორალური შემუშება აღენიშნება, სტომატოლოგის მიერ უნდა განისაზღვროს კონსერვატული მკურნალობის შესაძლებლობა (პულპოტომია, პულპექტომია, არხების არაქირურგიული მკურნალობა, ან აბსცესის დრენირების მიზნით განაკვეთის გატარება).

## გამოყენებული მასალები:

- „წვეთოვანი და კონტაქტური გზით გადაცემადი პათოგენების შემთხვევაში საჭირო პირადი დაცვის აღჭურვილობის მოხმარების პროცედურები სამედიცინო პერსონალისთვის“ – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ბრძანებები და რეკომენდაციები: <https://stopcov.ge/ka/Recommendation>
- ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სახელმძღვანელო პრინციპები. გაიდლაინი. საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. სახელმძღვანელო „აქციე შენი კლინიკა ბრენდად“. 2020
- ADA Interim Guidance for Management of Emergency and Urgent Dental Care - <https://bit.ly/2VEoT8s>
- ADA Interim Guidance for Minimizing Risk of COVID-19 Transmission - <https://bit.ly/3cRFZWh>
- Interim Infection Prevention and Control Recommendations for Patients with Suspected or Confirmed Coronavirus Disease 2019 (COVID-19) in Healthcare Settings – Centers for Disease Control and Prevention <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/infection-control-recommendations.html>
- Interim Infection Prevention and Control Guidance for Dental Settings During the COVID-19 Response – Centers for Disease Control and Prevention <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/dental-settings.html>
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/healthcare-facilities/steps-to-prepare.html>, <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/dental-settings.html>
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/specific-groups/people-at-higher-risk.html>.
- [https://twitter.com/WHO/status/1240409217997189128?ref\\_src=twsrc%5Etfw%7Ctwcamp%5Etweetembed%7Ctwterm%5E1240409217997189128&ref\\_url=https%3A%2F%2Fwww.sciencealert.com%2Fwho-recommends-to-avoid-taking-ibuprofen-for-covid-19-symptoms](https://twitter.com/WHO/status/1240409217997189128?ref_src=twsrc%5Etfw%7Ctwcamp%5Etweetembed%7Ctwterm%5E1240409217997189128&ref_url=https%3A%2F%2Fwww.sciencealert.com%2Fwho-recommends-to-avoid-taking-ibuprofen-for-covid-19-symptoms)
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/infection-control/control-recommendations.html>,
- <https://www.cdc.gov/oralhealth/infectioncontrol/faqs/dental-handpieces.html>
- <https://www.cdc.gov/oralhealth/infectioncontrol/faqs/cleaning.html>
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/infection-control/control-recommendations.html>
- <https://www.epa.gov/pesticide-registration/list-n-disinfectants-use-against-sars-cov-2>
- <https://www.cdc.gov/mmwr/PDF/rr/rr5217.pdf>
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/guidance-risk-assesment-hcp.html>
- [https://www.aaoms.org/docs/education\\_research/dental\\_students/joms\\_guide\\_to\\_suturing.pdf](https://www.aaoms.org/docs/education_research/dental_students/joms_guide_to_suturing.pdf)
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/infection-control/control-recommendations.html>
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/healthcare-facilities/dialysis.html>
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/infection-control/control-recommendations.html>
- <https://www.cdc.gov/oralhealth/infectioncontrol/pdf/safe-care2.pdf>;
- <https://www.cdc.gov/mmwr/PDF/rr/rr5217.pdf>
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/php/guidance-evaluating-pui.html>,
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/dental-settings.html>
- [https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/infection-control/control-recommendations.html?CDC\\_AA\\_refVal=https%3A%2F%2Fwww.cdc.gov%2Fcoronavirus%2F2019-ncov%2Fhcp%2Finfection-control.html#manage\\_access](https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/infection-control/control-recommendations.html?CDC_AA_refVal=https%3A%2F%2Fwww.cdc.gov%2Fcoronavirus%2F2019-ncov%2Fhcp%2Finfection-control.html#manage_access)
- <https://success.ada.org/en/practice-management/patients/coronavirus-frequently-asked-questions>
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/guidance-risk-assesment-hcp.html>
- <https://www.cdc.gov/oralhealth/infectioncontrol/pdf/safe-care2.pdf>); (<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/php/risk-assessment.htm>
- <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/28916372>,
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/downloads/stop-the-spread-of-germs.pdf>
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/ppe-strategy/face-masks.html>
- <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/healthcare-facilities/steps-to-prepare.html>
- <https://www.alabamapublichealth.gov/oralhealth/assets/cov-dental-protocol-031720.pdf>